საქმის № 2/28296-17

11413421119200

განჩინება

საქართველოს სახელით
კრედიტორად აღიარების შესახებ

(ამონაწერი სხდომის ოქმიდან)

23 იანვარი 2026 წელი ქ.თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - თინათინ ეცადაშვილი
სხდომის მდივანი - ნატო ხელაშვილი

განმცხადებელი - მოვალე - ინდივიდუალური მეწარმე ფარვანა იუსუბოვა (საიდენტიფიკაციო ნომერი 28001030517)
წარმომადგენელი - ზვიად გადელია

გაკოტრების მმართველი - აღსრულების ეროვნული ბიურო
წარმომადგენლები - ლევანი პარუნაშვილი, სალომე ამნიაშვილი

“გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ” საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოსამართლე უსმენს მეურვეს, მხარეებს და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით გამოაქვს განჩინება კრედიტორის მოთხოვნების აღიარების ან უარყოფის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, იმ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რომ გაკოტრების მმართველის წარმომადგენელი ლევან პარუნაშვილი დაეთანხმა **სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს** მოთხოვნას კრედიტორად აღიარების შესახებ 10.000 ლარის ნაწილში, პირველ რიგში, სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია.

სასამართლომ იხელმძღვანელა “გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ”

საქართველოს კანონის მე-7, მე-8, 29-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. აღიარებულ იქნას კრედიტორად **სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო ი/მ ფარვანა იუსუბოვას** გაკოტრების საქმეში 10.000 ლარის ნაწილში, პირველ რიგში,

2. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მხარეებს, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება მისი ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (მის. დავით აღმაშენებლის ხეივანი N64). ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

მოსამართლე თინათინ ეცადაშვილი